



ევროკავშირი
საქართველოსთვის



კვლევის ანგარიში „დუშეთის მუნიციპალიტეტი“

„სუფთა გარემო – ჯანსაღი რეგიონისათვის“



ძ.დ.ე.ქ. მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი
MTSKHETA-MTIANETI COMMITTEE OF A.V.N.
OF GEORGIA



„წმინდა ანასის მემორიალისა და განვითარების ცენტრი“

2023 წ

ეს პუბლიკაცია შექმნილია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”** ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციები „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა–მთიანეთის კომიტეტი“ და „ჩვენ–ჯანსაღი მომავლისათვის“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სარჩევი

შესავალი.....	4
არსებული სიტუაცია	6
ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობა	7
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.....	7
მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირება	8
შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა.....	9
ნარჩენების სეპარირება.....	10
ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება	10
არსებული პრობლემები	10
მიზანი.....	11
კვლევის მეთოდოლოგია.....	11
ინსტრუმენტი და პროცედურა	11
შერჩევის დიზაინი.....	12
კვლევის მონაწილეები.....	12
კვლევის შედეგები და ანალიზი.....	13
აღწერითი სტატისტიკა	13
მონაცემთა ანალიზი.....	15
დასკვნები და რეკომენდაციები.....	22
დანართები	25

შესავალი

მუნიციპალური ნარჩენების მართვა და მასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომების დანერგვა, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტების ვალდებულებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან:

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების, სეპარირების სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებაზე.

2022 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა განახლებული ნარჩენების მართვის 2016-2030 წწ. ეროვნული სტრატეგია და დამტკიცებული იქნა ნარჩენების მართვის მეორე ხუთწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022-2026 წწ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ განახლებულ ეროვნულ სტრატეგიას დაემატა კიდევ ოთხი ახალი სტრატეგიული მიზანი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სახიფათო ნარჩენების, პლასტიკის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ნარჩენების მართვის სტრატეგიაში განსაზღვრულია ის მინიმალური მაჩვენებლები, რომელთა მიღწევა არის დაგეგმილი ნარჩენების შეგროვებასა და რეციკლირების მიმართულებით. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებელია 2026 წლისთვის - 95%, ხოლო სეპარირების მინიმალური მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50%, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა მუნიციპალიტეტის მიერ.

	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები		
მუნიციპალური ნარჩენები	95 %	100%
სახიფათო ნარჩენები	85 %	95%
ნარჩენების რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები		
ქაღალდი	50 %	80%
მინა	50%	80%
მეტალი	80%	90%
პლასტიკი	50%	80%

აღნიშნული ინდიკატორები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტებისათვის, რადგანაც 2023 წლიდან უნდა ამოქმედდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის განახლებული გეგმები.

როგორც ცნობილია, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს ნარჩენების წყაროსთან სეპარირების დანერგვას. აღნიშნული მიდგომა, მთელი რიგი ფაქტორების გამო, გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით. კერძოდ, წყაროსთან სეპარირების შედეგად შეგროვებული ნარჩენები ბევრად უფრო სუფთაა და მიიღება უფრო მაღალი ხარისხის მეორადი ნედლეული, რაც მიმზიდველს ხდის ასეთი მიდგომების განხორციელებას თავად მუნიციპალიტეტების მიერ. ამავე დროს, წყაროსთან სეპარირება მოითხოვს მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ამ პროცესში, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მაღალ თვითშეგნებასა და მოტივაციასთან.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნარჩენების მართვის მხრივ. ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, როგორც წესი, მუნიციპალური ნარჩენების დაახლოებით 50%-ს შეადგენენ. თუნდაც ინდივიდუალური კომპოსტირების დანერგვა საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებში დიდად შეუწყობს ხელს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობის შემცირებას და, შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგია მიანიშნებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს ე.წ. სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაა მსგავსი ნაგავსაყრელების სისტემატიური გამოვლენა და დახურვა.

ასევე აღნიშნულია, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაფინანსებაზე პასუხისმგებელი არიან მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტებს დადგენილი აქვთ მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ და შესაბამისმა იურიდიულმა პირებმა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში დადგენილი გადასახადები და ამოღების მაჩვენებლები დაბალია.

ნარჩენების მართვის კოდექსისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტს დაეკისრა 2017 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შემუშავების ვალდებულება.

არსებული სიტუაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტი: ზოგადი ინფორმაცია



დუშეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და შედის მცხეთა-თიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 2981.5 კმ². დუშეთის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიები, აღმოსავლეთით – თიანეთის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – ახალგორის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით კი – მცხეთის მუნიციპალიტეტი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 54 კმ-ია.

მუნიციპალიტეტი გეოგრაფიულად ხასიათდება მაღალმთიანი რელიეფით, მისი მთიანი ტერიტორია განთავსებულია ალპურ და სუბალპურ ზონაში, შესაბამისად ცივი სეზონი გრძელდება თითქმის 8 თვეს. საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 11 C°, შესაძლებელი მაქსიმუმია 39 C°, ხოლო შესაძლებელი მინიმუმია -30 C°.


დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ტბებიდან მთავარია ბაზალეთისა და აბუდეღაურის ტბები. მდინარე არაგვზე აგებულია ჟინვალის წყალსაცავი, რომლის სარკის ფართობია 11,5 კმ², მოცულობა 520 მლნ. მ³.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტი შედგება ერთი ქალაქისგან, ორი დაბისგან და 287 სოფლისგან, რომლებიც თვითმმართველობის 18 ადმინისტრაციულ ერთეულში არიან გაერთიანებული. დუშეთის მუნიციპალიტეტში 242 სოფელია, რომელსაც მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

მოსახლეობა

2016 წლის მონაცემებით, დუშეთის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 25657 ადამიანი. 2006 წლიდან დღემდე მოსახლეობის რიცხოვნობის კლებით (24 %) ხასიათდება, რაც სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული. ანალოგიური მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებზე, საიდანაც მიგრაციას უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეუქცევადი ხასიათი აქვს. მიგრაცია ძირითადად მიმდინარეობს ახალგაზრდობის ხარჯზე. მუნიციპალიტეტში 2015 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 7096 პენსიონერი.



ნახ.1. მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები დუშეთის მუნიციპალიტეტში (2014-2021 წწ.), საქსტატის მონაცემებით

ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

2017 წელს შემუშავებული იქნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის, რომელიც დამტკიცებული იქნა, ხოლო 2019 წლის 11 დეკემბერს გეგმაში შევიდა ცვლილებები და მოხდა მისი ხელახლა დამტკიცება.

გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

დუშეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტების და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 95% 2021 წლის 31 დეკემბერი;

- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 80% 2021 წლის 31 დეკემბერი;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქალაქის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019-2020 წლის 31 დეკემბერი;
- ქალაქის, პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქალაქი 32% 2019-2020 წლის 31 დეკემბერი;
 - პლასტიკი 40% 2019-2020 წლის 31 დეკემბერი;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებში ეფექტიანი საქმის წარმოება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური დამუშავება;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათი მომზადება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვის კუთხით.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირება

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“, რომლის 100%-ის წილის მფლობელია დუშეთის მუნიციპალიტეტი. კომპანია ახდენს შეგროვების მომსახურების გაწევას დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და კომპანიებისათვის/საწარმოებისათვის, რომლებიც მის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს, მოვალეობაში ასევე შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა/დასუფთავება და ბაღის ნარჩენების გატანა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება კონტეინერული სისტემა და ე.წ. „ზარის“ სისტემა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის მუნიციპალიტეტს გააჩნია შემდეგი ტექნიკური საშუალებები:

- ნაგავმზიდი /მანქანა - 7 ერთეული,
- კონტეინერები, 1.1მ³ მოცულობის - 1001 ცალი, მათ შორის 204 ცალი - ლითონის და 797 ცალი- პლასტმასის მასალისგან.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სერვისებით უზრუნველყოფა:

- შეგროვების სერვისით მოცული მოსახლეობის რაოდენობა:

- ქალაქში - 90%
- სოფლებში - 70%


- შეგროვების სერვისით დაფარული ტერიტორია:

- ქალაქში - 90%
- სოფლებში - 70%



მუნიციპალიტეტში განთავსებული კონტეინერებიდან (ქ. დუშეთი, დაბა ფასანაური და დაბაჟინვალი) ნარჩენების შეგროვება ხდება ყოველდღიურად - ერთხელ, ხოლო სოფლებიდან ნარჩენების გატანა „ზარის სისტემით“ ხდება კვირაში ორჯერ.

შეგროვებული ნარჩენების რაოდენობა

დუშეთის მუნიციპალიტეტში ორგანიზებულად შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა გამოირჩევა მზარდი დინამიკით 2019-2021 წლებში. 2019 წელს შეგროვებული და ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა 5800 ტონა, 2020 წელს კი - 6050.4 ტონა, ხოლო 2021 წლისთვის ნარჩენების რაოდენობა გაიზარდა 6526.65 ტონამდე.



ნახ.2. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მაჩვენებლები დუშეთის მუნიციპალიტეტში, 2019-2021 წწ



ნახ. 3. კონტეინერები ქ.დუშეთის ტერიტორიაზე.

ნარჩენების სეპარირება

მუნიციპალური ნარჩენების დახარისხებული შეგროვება დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხორციელდება. ასევე მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ნარჩენების შეგროვების პუნქტები.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკა არ არის დანერგილი მუნიციპალიტეტში, შესაბამისად აუთვისებელია ორგანული ნარჩენების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

არსებული პრობლემები

- ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი ავტოპარკის გაუმართაობა, რომელიც განახლებას საჭიროებს.
- ნარჩენების შესაგროვებლად კონტეინერების რაოდენობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის საკმარისი, ამასთან ერთად, ეს კონტეინერები მეტწილად არის უხარისხო
- მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ამისთვის არ არსებობს ტექნიკური აღჭურვილობა
- არ გამოიყენება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება, დაბალია გათვითცნობიერება კომპოსტირების შესაძლებლობების შესახებ.

მიზნები

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, კერძოდ, ნარჩენების შეგროვება - გატანის მომსახურების, დასუფთავების ხარისხის და ა.შ. შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია

ინსტრუმენტი და პროცედურა

კვლევა შემოიფარგლება მუნიციპალური ნარჩენების, ანუ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის შესწავლით და არ ეხება სხვა ტიპის ნარჩენებს.

კითხვარი მომზადდა ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე, კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტების შესამუშავებლად და ინსტრუმენტის სპეციფიკაციის ჩარჩოს შესაქმნელად შედგა ფოკუს-ჯგუფი, რომლის შედეგადაც განისაზღვრა ძირითადი საკვანძო თემები და კითხვარის ბლოკები. მეორე ეტაპზე, სპეციფიკაციის ჩარჩოზე დაყრდნობით და კვლევის მიზნების შესაბამისად შეიქმნა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - გამოკითხვა; მონაცემების მოსაპოვებელ ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი (იხ. დანართი N1). კითხვარი შედგებოდა ორი ბლოკისაგან. პირველი ბლოკი წარმოადგენდა დემოგრაფიულ ნაწილს, რომელიც მოიცავდა კითხვებს რესპოდენტის ასაკის, სქესისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ. რაც შეეხება ინსტრუმენტის მეორე ბლოკს, იგი შედგებოდა თერთმეტი კითხვისაგან. აღნიშნული კითხვები რესპოდენტთა მოსაზრებების შესაფასებელ კითხვებს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კითხვაზე სწორი და არასწორი პასუხი არ არსებობს. გამოკითხულ მოქალაქეებს მოცემულ კითხვაზე თავისი შეხედულება უნდა დაეფიქსირებინათ ხუთ ბალიან შკალაზე.

კითხვარები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მიეწოდებოდათ რესპოდენტებს. მათ არ ჰქონდათ საშუალება ერთმანეთის პასუხებს გაცნობოდნენ. კვლევაში მონაწილეობის დაწყებამდე, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ ეტაპზე, თითოეულ რესპოდენტს მიეწოდა თანხმობის ფურცელი და მასზე ხელოვნურით თანხმობის დაფიქსირების შემდეგ იწყებდნენ კითხვარის შევსებას. ინსტრუმენტს თანდართული ჰქონდა ინფორმაცია კითხვარის შევსების ინსტრუქციის შესახებ. კითხვარების გავრცელება არ მომხდარა ელექტრონული სახით და მკვლევარს საშუალება ჰქონდა, უშუალოდ დაკვირვებოდა კვლევის პროცესს.

შერჩევის დიზაინი

კვლევის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა შემდეგი პრინციპით:

შერჩევის პირველად ერთეულს წარმოადგენს სააღწერო უბანი (კლასტერი), უბნის შერჩევა მოხდა დასახლების ტიპის მიხედვით. შერჩევის მეორადი ერთეული იქნება ოჯახი. საბოლოო ერთეული - რესპონდენტი, ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრი, რომელიც შეირჩა მარტივი შემთხვევითი შერჩევით.

კვლევა განხორციელდა 2022 წლის სექტემბრის თვეში, ორგანიზაციების „ჩვენ - ჯანსაღი მომავლისათვის“ და „მდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტის“ მიერ, მოხალისეთა ჩართულობით.

სულ გამოიკითხა 139 რესპონდენტი. დასახლებული ადგილის შერჩევა მოხდებოდა განსხვავებულად:

1. დუშეთში გამოიკითხა 39 რესპონდენტი ცენტრალური და განაპირა ქუჩებიდან და გარეუბნიდან.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში გამოიკითხა 35 რესპონდენტი. ოჯახი შეირჩა ნარჩენების კონტინერთან როგორც ახლოს, ისე მოშორებით მცხოვრები ოჯახები.
3. სოფ. ანანურში გამოიკითხა 15 რესპონდენტი;
4. სოფ. ბაზალეთში გამოიკითხა 15 რესპონდენტი;
5. დაბა ფასანაურში გამოიკითხა 20 რესპონდენტი;
6. ხოლო სოფ. მაღაროსკარში გამოიკითხა 15 რესპონდენტი.

გამოიკითხვა ჩაატარა პროექტის კოორდინატორმა, მოხალისეებთან ერთად. გამოიკითხა 139 რესპონდენტი; გამოიკითხნენ როგორც ცენტრალურ გზასთან მცხოვრები რესპონდენტები, ასევე სოფლის სიღრმეში მცხოვრებნი.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალის, დუშეთის, სოფ. ანანურის, სოფ. ბაზალეთის, დაბა ფასანაურისა და სოფ. მაღაროსკარის მოსახლეობამ. მონაწილეები შეირჩა კვლევის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 139-მა მოქალაქემ. კვლევის მონაწილეთა შორის 59% მდედრობითი, ხოლო 39.6% მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, რესპონდენტთა 1.4%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის დაფიქსირებისგან. მათ შორის, სოფ. მაღაროსკარში მცხოვრებ რესპონდენტთაგან მდედრობითი სქესის - 8, ხოლო მამრობითი სქესის - 7, სოფ. ბაზალეთის წარმომადგენელთა შორის მდედრობითი სქესის - 9, ხოლო მამრობითი სქესის - 6 მოქალაქე, დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურში მდედრობითი სქესის - 12, მამრობითი სქესის 7 მოქალაქე, ხოლო, ერთმა რესპონდენტმა თავი შეიკავა პასუხის დაფიქსირებისგან. ასევე ერთმა

რესპონდენტმა შეიკავა თავი სოფ. ანანურში, ხოლო დანარჩენთა შორის, 12 მდედრობითი და 2 მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. ჟინვალში მცხოვრებ რესპონდენტაგან 20 მდედრობითი სქესის, ხოლო 15 მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, რაც შეეხება თავად დუშეთის რესპონდენტთა განაწილებას - მდედრობითი სქესის - 21, ხოლო მამრობითი სქესის - 18 მოქალაქე მონაწილეობდა კვლევაში.


კვლევის შედეგები და ანალიზი

აღწერითი სტატისტიკა

საკვლევი ინსტრუმენტის ანალიზისა და კვლევის ჩატარების შემდეგ განხორციელდა მონაცემთა აღწერითი სტატისტიკა.


კვლევაში მონაწილეობა მიიღო 139-მა რესპონდენტმა. რესპონდენტთა სქესთა შორის პროცენტული განაწილება გამოიყურება შემდეგნაირად:

დიაგრამა N 1




გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალის, დუშეთის, სოფ. ანანურის, სოფ. ბაზალეთის, დაბა ფასანაურისა და სოფ. მალაროსკარის 139-მა მოქალაქემ, რესპონდენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

დიაგრამა N 2



გამოკითხვა ჩატარდა დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლის ასაკს ზემოთ, სრულწლოვან მოქალაქეებში. კვლევის მონაწილეთა ასაკებს შორის პროცენტული განაწილება გამოიყურება შემდეგნაირად:

დიაგრამა N 3




მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვით (ნარჩენების გატანა, დასუფთავების ხარისხი და ა.შ).


მოქალაქეებს უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, აქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორი ეკოლოგიური მდგომარეობაა მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე. გამოკითხულთა 85.61% აღნიშნავს, რომ აქვს ინფორმაცია, 14.39% ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია მის საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

დიაგრამა N 4




გამოკითხვის მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა (139 მოქალაქე) 10.07% საკუთარი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს აფასებს როგორც ძალიან სუფთას, 71.94% თვლის, რომ მისი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა, 12.95%-ს მიაჩნია, რომ დაბინძურებულია, გამოკითხული მოსახლეობის 4.32% კი ძალიან დაბინძურებულად მიიჩნევს თავისი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს. მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილმა - 0.72% თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის დაფიქსირებისგან.

დიაგრამა N 5




კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის აზრის დადგენა, რამდენად აწუხებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოქალაქეების 8.63%-ს ძალიან აწუხებს აღნიშნული საკითხი, თითქმის 36% ამბობს, რომ აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი 45.32% აღნიშნავს, რომ ნაკლებად შეწუხებულია აღნიშნულით, ხოლო მხოლოდ 10.07%-ს საერთოდ არ აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა.

დიაგრამა N 6




კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 11.51% არის სრულიად კმაყოფილი მისი ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით. გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა -64.75% აღნიშნავს, რომ კმაყოფილია ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით, რესპონდენტების 20.86% ნაკლებად განიცდის კმაყოფილებას აღნიშნულით, ხოლო გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 2.88% სრულიად უკმაყოფილოა საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიიდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით.

დიაგრამა N 7




მნიშვნელოვანი იყო მოქალაქეთა მოსაზრებები, რამდენად კმაყოფილები იყვნენ ზოგადად მათი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით. გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 7.91% გამოთქვამს სრულ კმაყოფილებას, ხოლო უდიდესი უმრავლესობა 69.78% კმაყოფილია აღნიშნულით. გამოკითხული მოსახლეობის 19.42% ამბობს, რომ ნაკლებადაა კმაყოფილი მისი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით, ხოლო 2.88% აღნიშნავს, რომ სრულიად უკმაყოფილოა ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით.

დიაგრამა N 8




კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე კონტეინერების არსებული რაოდენობასთან. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 8.63% თვლის, რომ სრულიად საკმარისია მის საცხოვრებელ ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა. 40.29% თვლის, რომ საკმარისია, თითქმის იგივე რაოდენობა 43.17% რესპონდენტებისა აღნიშნავს, რომ მის ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა ნაკლებადაა საკმარისი, გამოკითხულ მოქალაქეთა 7.91% თვლის, რომ სრულიად არასაკმარისა კონტეინერების რაოდენობა.

დიაგრამა N 9




კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოსახლეობის აზრის გამორკვევა დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გადაიხდიდნენ თუ არა აღნიშნულს. გამოკითხული რესპონდენტებიდან უდიდესი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ 92.81% აღნიშნავს, რომ გადაიხდიდნენ დასუფთავების მოსაკრებელს, მხოლოდ 2.88% ამბობს, რომ არ გადაიხდიდნენ აღნიშნულს, რესპონდენტთა 4.32%-მა არ იცის არსებობის შემთხვევაში როგორ მოიქცეოდნენ.

დიაგრამა N 10




კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა, გადაუხდიათ თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი მოქალაქეებს. გამოკითხული მოქალაქეების უმეტესობას 87.77% აღნიშნავს, რომ გადაუხდიათ, 11.51% ამბობს, რომ არ გადაუხდიათ აღნიშნული მოსაკრებელი, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ 0.72%-მა თავი შეიკავა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

დიაგრამა N 11




რესპონდენტებმა, რომლებმაც წინა კითხვაზე დადებითი პასუხი დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ გადაუხდიათ დასუფთავების მოსაკრებელი, ამ კითხვაზე უნდა შეეფასებინათ, მათი აზრით, რამდენად შესაბამისობაშია დასუფთავების მოსაკრებელი დასუფთავების ხარისხთან. მათგან 35.25% თვლის, რომ სრულიად შესაბამისია დასუფთავების მოსაკრებელი და დასუფთავების ხარისხი ერთმანეთთან, 47.54%-ს მიაჩნია, რომ დასუფთავების ხარისხი, მის მოსაკრებელთან შესაბამისობაშია, 13.11%-ს მიაჩნია, რომ ნაკლებად შესაბამისობაშია აღნიშნული ერთმანეთთან, ხოლო 3.28%-მა სრულიად შეუსაბამოდ მიიჩნია ფასის ხარისხთან მიმართება და 0.82%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

დიაგრამა N12




კვლევისათვის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენდა იმის დადგენა, ფლობდნენ თუ არა დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები ინფორმაციას კომპოსტირების შესახებ და დადებითი პასუხის შემთხვევაში უნდა დაეფიქსირებინათ წყარო, საიდანაც ამ საკითხის შესახებ ჰქონდათ ცნობადობა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 38.13% პროცენტი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კომპოსტირება, უდიდეს უმრავლესობას 60.43%-ს კი არ ფლობს ინფორმაციას ამის შესახებ. გამოკითხულთაგან 1.44%-მა კი თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისგან.

დიაგრამა N 13



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო დაგვედგინა თუ რა ხერხით იცილებს მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს საკუთარი ოჯახებიდან. აღნიშნულ კითხვაზე, რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხი დაეფიქსირებინათ. გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა, 95.68%-მა აღნიშნა, რომ ნარჩენებს ათავსებს ქუჩაში დადგმულ კონტეინერში, რესპონდენტთა 5.04% აღნიშნავს, რომ ნარჩენები მიაქვს სპეციალურ გადამზიდს, რომელიც გრაფიკის მიხედვით დადის. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცილების ყოველივე ზემოთ აღნიშნულ მეთოდთან ერთად ზოგიერთი მოქალაქე საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ოჯახიდან იცილებს ეზოში დაწვის გზით. ასეთ მოქალაქეთა რიცხვი, გამოკითხულთა 28.06%-ს შეადგენს, რესპონდენტების მცირედი ნაწილი 0.72% ახარისხებს და აზარებს ნარჩენების მიმღებ პუნქტებს, ხოლო რესპონდენტთა 1.44% ნარჩენებს ყრის ქუჩაში.

დიაგრამა N 14



დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

- გამოკითხულთა თითქმის 86%-ს აქვს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. შეიმჩნევა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მზარდი დინამიკა, რაც, პირველ რიგში, მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მეტი მოქალაქე არის უზრუნველყოფილი ნარჩენების ორგანიზებულად შეგროვების მუნიციპალური სერვისებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეგროვებისათვის განკუთვნილი ავტოპარკი გაუმართავია, რომელიც საჭიროებს განახლებას, ხოლო არსებული კონტეინერების ხარისხი ვერ პასუხობს მოთხოვნებს და, ამასთან ერთად, კონტეინერების რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომსახურეობის სერვისებით სრულყოფილად იქნას მოცული მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია. იგივე აზრს ამყარებს რესპონდენტთა გამოკითხვა: 50%-ზე მეტი თვლის რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში არ არის საკმარისი ან საერთოდ არ არის.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შეინიშნება სტიქიური ნაგავსაყრელები, რაც კავშირშია მოსახლეობის არასაკმარის თვითშეგნებასთან და მუნიციპალიტეტის მხრიდან მომსახურეობის მიწოდების ხარვეზებთან. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (28.06%) ჯერ კიდევ იყენებს ნარჩენების დაწვას და მდინარეებში ჩაყრას, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს და ყოვლად დაუშვებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა 43%-ზე მეტის თქმით, მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებული კონტეინერების რაოდენობა ნაკლებად საკმარისია.
- აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის 88%-ს გადაუხდია დასუფთავების მოსაკრებელი. კვლევის მონაწილეთა თითქმის 83% დადებითად აფასებს მოსაკრებელის შესაბამისობას დასუფთავების ხარისხთან. თუმცა, მეორეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, რაც დაკავშირებულია როგორც ტექნიკური აღჭურვილობის არ არსებობასთან, ისე შესაბამისი სპეციალისტებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონასთან.
- არ გამოიყენება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება, დაბალია ცნობადობა კომპოსტირების შესაძლებლობების შესახებ. ამაზე მეტყველებს ასევე გამოკითხვის შედეგებიც: უდიდესი უმრავლესობა (60%-ზე მეტი) არ ფლობს ინფორმაციას კომპოსტირების პროცესის შესახებ.

რეკომენდაციები

- დუშეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის განახლება მოხდეს განახლებული ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და 2022-2026 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
- ნარჩენების მართვის გეგმის განახლების პროცესში გათვალისწინებული იქნას მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებელი 2026 წლისთვის - 95%, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მუნიციპალიტეტის მიერ.
- მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას. გაითვალისწინონ, რომ ნარჩენების მართვის 2022-2026 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მინიმუმ 50% უნდა იქნას სეპარირებული 2026 წლის ბოლოსთვის. სეპარირების წარმატებით განხორციელებისათვის სასარგებლო იქნება სხვა მუნიციპალიტეტების გაზიარება, კერძოდ, ქუთაისის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტების გამოცდილება პლასტიკისა და ქაღალდის სეპარირების ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით.
- სასურველია განახლებულ გეგმებში გარკვეული ყურადღება დაეთმოს დასახული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ანალიზს, მიღწეულ შედეგებსა და მიღებულ გამოცდილებას, რატომ ვერ მოხერხდა დასახული აქტივობების რეალიზაცია, რა მიზეზების გამო და ა.შ.
- მნიშვნელოვანია მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შედგენილობის შესწავლა, რაც მუნიციპალიტეტებს მისცემს საშუალებას რეალისტურად დაგეგმონ ნარჩენების განცალკევებული შეგროვების მაჩვენებლები, რაც საბოლოოდ, გაუადვილებს მუნიციპალურ სამსახურებს დასახული ინდიკატორების მიღწევას.
- გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების განახლებულ ეროვნულ სტრატეგიასა და ნარჩენებისმართვის 2022 – 2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმაში შეტანილია როგორც ცალკე სტრატეგიული მიზნები: მიზანი 11. პლასტიკის ნარჩენების მართვა; მიზანი 12. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების ჩამოყალიბება და დანერგვა; მიზანი 13. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.
- კარგი იქნება მეზობელ მუნიციპალიტეტებთან კოოპერაცია, კერძოდ, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების რეალიზაციის მიზნით ან ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების ერთობლივი პოლიგონის შესაქმნელად.
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების დანერგვასა და პოპულარიზაციას. ხელი შეეწყოს ინდივიდუალური კომპოსტირების მეთოდების გავრცელებას სასოფლო თემებში. გამოცდილების გაზიარების მიზნით სასურველია ქუთაისის საკომპოსტე ცენტრის საქმიანობის გაცნობა.
- ახალი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების ჩართვა. სასურველია თანამშრომლობა

რეგიონში/მუნიციპალიტეტში მოქმედ სსო-თან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა. გამართონ კონსულტაციები დარგის სპეციალისტებთან და ა.შ.

- მუნიციპალიტეტმა ახალ მუნიციპალურ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს პრინციპის „დამბინძურებელი იხდის“ განხორციელების ღონისძიებებს, რათა საგრძნობლად შემცირდეს ნარჩენების წარმოქმნა და გარემოს დაბინძურება.
- განსაკუთრებული ყურადღება მუნიციპალიტეტმა დაუთმოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს ცნობიერების ამაღლების და ინფორმირებულობის მიზნით სასურველია გამოყენებული იქნას აქტივობები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. პრაქტიკაში შემოიღონ დასუფთავების აქციების პერიოდული ორგანიზება, კონკურსები სუფთა/მწვანე ეზოს, ქუჩის და ა.შ. ჩატარება და ა.შ.

დანართები

დანართი N1 - ანკეტა - მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა დუშეთის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ

მოგესალმებით,

აღნიშნული კვლევა ტარდება პროექტ “სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრებისთვის” ფარგლებში. პროექტის მიზანია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. ორგანიზაციის ამოცანაა, მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება, საბაღე ტერიტორიაზე წარმოქმნილი ბიო-ნარჩენების მართვის თაობაზე და ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანის მოწყობა.

კვლევის მიზანია, დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან, მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვით (ნარჩენების გატანა, დასუფთავების ხარისხი და ა.შ).

ქვემოთ მოცემულია კითხვარი, რომელსაც უნდა უპასუხოთ ინსტრუქციის მიხედვით. არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, ასე რომ გთხოვთ, მაქსიმალურ გულწრფელობას. კვლევა ანონიმურია, თქვენგან მიღებული პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის, რაც დაგვეხმარება კვლევის სრულყოფილად განხორციელებაში.

წინასწარ დიდ მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისათვის!

მე, _____, მცხოვრები _____, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თანახმა ვარ, მივიღო კვლევაში მონაწილეობა.

ხელმოწერა _____

ასაკი:

- 18–30 წ.
- 31–40 წ.
- 41–50 წ.
- 51–60 წ.
- 61 წ. დამეტი

სქესი:

- მამრობითი
- მდედრობითი

საცხოვრებელი ადგილი: _____

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ კითხვებზე მონიშნოთ თქვენთვის სასურველი პასუხის ველი
აღნიშვნით - X

1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორი ეკოლოგიური მდგომარეობაა თქვენს საცხოვრებელ ქალაქში/სოფელში?
 დიახ არა არ ვარ დაინტერესებული

2. როგორ შეაფასებდით თქვენი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს?
 ძალიან სუფთა სუფთა დაბინძურებული ძალიან დაბინძურებული არ ვარ დაინტერესებული

3. რამდენად გაწუხებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა?
 ძალიან მაწუხებს მაწუხებს ნაკლებად მაწუხებს საერთოდ არ მაწუხებს არ ვარ დაინტერესებული

4. გაკმაყოფილებთ თუ არა, თქვენი ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანის, კონტეინერების დაცლის გრაფიკი?
 სრულიად კმაყოფილებს კმაყოფილებს ნაკლებად კმაყოფილი ვარ სრულიად უკმაყოფილო ვარ

5. საკმარისია თუ არა თქვენს ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა?
 სრულიად საკმარისია საკმარისია ნაკლებად საკმარისია სრულიად არ არის საკმარისი

6. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით?
 სრულიად კმაყოფილებს კმაყოფილებს ნაკლებად კმაყოფილი ვარ სრულიად უკმაყოფილო ვარ

7. არსებობის შემთხვევაში გადაიხდით თუ არა დასუფთავების მოსაკრებელს?
 დიახ არა არ ვიცი

8. გადაიხდით თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი? (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ მე-9 შეკითხვა).
 დიახ არა

9. არის თუ არა შესაბამისობაში დასუფთავების მოსაკრებელი დასუფთავების ხარისხთან?
 სრულად შესაბამისია შესაბამისია ნაკლებად შესაბამისია სრულიად შეუსაბამოა

10. ფლობთ თუ არა ინფორმაციას კომპოსტირების შესახებ? (დადებითი პასუხის შემთხვევაში დააფიქსირეთ რასახის ინფორმაციას ფლობთ)
 დიახ არა

11. რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?

1. ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში

2. მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით

3. ვწვავ ეზოში

4. ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს

5. ორგანულ ნარჩენებს ვაკომპოსტებ

6. ვყრი მდინარეში


7. ვყრი ქუჩაში

8. როგორც მომიხერხდება (დააკონკრეტეთ)


დანართი N2 - მონაცემები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მაღაროსკარი


დიაგრამა N 15




დიაგრამა N 16




დიაგრამა N 17




დიაგრამა N 18




დიაგრამა N 19




დიაგრამა N 20




დიაგრამა N 21




დიაგრამა N 22




დიაგრამა N 23




დიაგრამა N 24




დიაგრამა N 25



დიაგრამა N 26




დიაგრამა N 27




დღემეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზალეთი


დიაგრამა N 28




დიაგრამა N 29




დიაგრამა N30




დიაგრამა N 31




დიაგრამა N 32




დიაგრამა N 33




დიაგრამა N 34




დიაგრამა N 35




დიაგრამა N 36




დიაგრამა N 37



დიაგრამა N 38




დიაგრამა N 39




დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაური


დიაგრამა N40




დიაგრამა N 41




დიაგრამა N 42




დიაგრამა N 43




დიაგრამა N 44




დიაგრამა N 45




დიაგრამა N 46




დიაგრამა N 47




დიაგრამა N 48




დიაგრამა N 49




დიაგრამა N50




დიაგრამა N 51




დიაგრამა N 52




დიაგრამა N 53




დიაგრამა N 54




დიაგრამა N 55




დიაგრამა N 56




დიაგრამა N 57




დიაგრამა N 58




დიაგრამა N 59




დიაგრამა N60




დიაგრამა N 61




დიაგრამა N 62




დიაგრამა N 63



დიაგრამა N 64




დიაგრამა N 65




დუმეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალი


დიაგრამა N 66




დიაგრამა N 67




დიაგრამა N 68




დიაგრამა N 69




დიაგრამა N 70




დიაგრამა N 71




დიაგრამა N 72




დიაგრამა N 73




დიაგრამა N 74




დიაგრამა N 75




დიაგრამა N 76



დიაგრამა N 77




დიაგრამა N 78




ქალაქი დუშეთი


დიაგრამა N 79




დიაგრამა N 80




დიაგრამა N 81




დიაგრამა N 82




დიაგრამა N 83




დიაგრამა N 84




დიაგრამა N 85




დიაგრამა N 86




დიაგრამა N 87



დიაგრამა N 88



დიაგრამა N 89



დიაგრამა N 90

